ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 244

"24" მაისი 2024 წ.

ქ. თბილისი

მისამართებზე - ქ. თბილისი, საირმეს ქ. №37 (ს/კ. №01.10.14.024.036), ქ. თბილისი, მუხაძის ქ №4 (ს/კ. №01.14.11.024.004), ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. №55 (ს/კ. №01.14.11.024.012) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - ,,დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების'' 35-ე მუხლისა და „მისამართებზე - ქ. თბილისი, საირმეს ქ. № 37 (ს/კ. №01.10.14.024.036), ქ. თბილისი, მუხაძის ქ №4 (ს/კ. №01.14.11.024.004), ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ №55 (ს/კ. №01.14.11.024.012) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 22 მაისის №24.866.974 განკარგულების, აგრეთვე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის 2024 წლის 20 მაისის სხდომის ოქმის №6-ის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, მისამართებზე: ქ. თბილისი, საირმეს ქ. №37 (ს/კ. №01.10.14.024.036), მუხაძის ქ. №4 (ს/კ. №01.14.11.024.004) და ი. აბაშიძის ქ. №55 (ს/კ. №01.14.11.024.012) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისა და დაზარალებული პირების მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულების მიზნით გაატაროს შემდეგი ღონისძიებები:

ა) გასცეს კომპენსაცია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №641 განკარგულების დანართი №5-ით გათვალისწინებულ პირზე - ქრისტინე კუპრავაზე (პ/ნ. 60001108194) – 26 145.16 (ოცდაექვსი ათას ას ორმოცდახუთი და თექვსმეტი მეასედი) აშშ დოლარი.

ბ) გასცეს კომპენსაცია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №641 განკარგულების დანართი №6-ით გათვალისწინებულ შემდეგ იურიდიულ პირებზე:

ბ.ა) შპს „ლიდერ ინვესტი" (ს/ნ. 402068891) - 360 (სამას სამოცი) ლარი და 771 424.02 (შვიდას სამოცდათერთმეტი ათას ოთხას ოცდაოთხი და ორი მეასედი) აშშ დოლარი.

ბ.ბ) შპს ,,მისო ლიდერ კრედიტი“ (ს/ნ. 406045649) – 120 778.28 (ას ოცი ათას შვიდას სამოცდათვრამეტი ლარი და ოცდარვა მეასედი) ლარი და 63 074.74 (სამოცდასამი ათას სამოცდათოთხმეტი და სამოცდათოთხმეტი მეასედი) აშშ დოლარი.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანხის ანგარიშსწორება განხორციელდეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გადარიცხვის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის ექვივალენტით ეროვნულ ვალუტაში.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე